



საგანმანათლებლო პროგრამის	<p align="center">აუდიოვიზუალური ხელოვნება • კინორეჟისურა; • ტელერეჟისურა.</p>
განათლების საფეხური	<p align="center">უმაღლესი განათლების პირველი საფეხური/ბაკალავრიატი</p>
კვალიფიკაცია მისანიჭებელი აკადემიური	<p align="center">აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი BACHELOR OF AUDIOVISUAL ARTS</p>
პროგრამის მოცულობა ECTS	<p>240 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ. სპეციალობის საერთო კურსები - 79 კრედიტი; სპეციალობის ძირითადი კურსები - 86 კრედიტი; საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები - 15; დამატებითი-minor სპეციალობა/არჩევითი ბლოკები/კურსები - 60 კრედიტი. სწავლება 8 სემესტრი; 1 სემესტრი 15 სასწავლო კვირა; 4 სასესიო კვირა.</p>
სწავლების ენა	ქართული
სწავლის ღირებულება	1500 ლარი
პროგრამის მიზანი	<p>სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის კინო-ტელე ხელოვნების დეპარტამენტის „აუდიოვიზუალური ხელოვნების“ უმაღლესი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა ამზადებს დამდგმელ რეჟისორს ორი პროფილით/სპეციალობით: კინორეჟისურა/ტელერეჟისურა.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს თვითმყოფადი ხელოვანი, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლის შესაბამისი პროფილის მიხედვით კინო და ტელე რეჟისურის პროფესიის შემოქმედებით-ტექნიკურ ასპექტებს და ჩამოუყალიბებს თეორიულ-პრაქტიკულ ცოდნას დარგის მიმართულებით. მომავალი რეჟისორი შეძლებს შემოქმედებითი ძიების სწორად წარმართვას, იდეის მოდელირებასა და სადადგმო ჩანაფიქრის წარმატებულ კინო/ტელე ეკრანიზაციას. გაერკვევა სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებში. საგანმანათლებლო პროგრამა ხელს შეუწყობს სტუდენტის მსოფლმხედველობის გაფართოებას, დახვეწილი გემოვნების ფორმირებას, ანალიტიკური უნარებისა და წარმოსახვის განვითარებას. მოამზადებს პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილ პროფესიონალს, რომელიც სრულად შეძლებს თავისი შესაძლებლობების გამოვლენას ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.</p> <p>საბაკალავრო პროგრამა ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულის მომზადებას დამოუკიდებელი პროფესიული შემოქმედებითი საქმიანობისათვის, როგორც კინემატოგრაფში (მხატვრული, დოკუმენტური), ასევე ტელეხელოვნების მიმართულებით, აუდიოვიზუალურ შოუ-სანახაობებში, სარეკლამო და ხმის ჩამწერ სტუდიებში, აუდიოვიზუალურ საარქივო სამსახურებში, აუდიოვიზუალურ წარმოდგენებსა და პერფომანსებში.</p> <p>„აუდიოვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში კინორეჟისურის და ტელერეჟისურის სპეციალობებზე სწავლება შეიცავს თეორიულ და შემოქმედებით-პრაქტიკულ ასპექტებს, რომლებიც პროფესიული სპეციფიკიდან გამომდინარეობს და ობიექტურად განაპირობებს სწავლების შესაბამის თავისებურებებს, თუმცა, მათ აერთიანებთ აუდიოვიზუალური ხელოვნების სწავლების ერთიანი პრინციპი და მეთოდოლოგია. პროგრამაში წარმოდგენილია ორივე პროფილის/სპეციალობის დეტალური აღწერა. შესაბამისი სასწავლო გეგმების თანხლებით.</p>
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<p align="center">პროგრამაზე (კონცენტრაციის მითითებით) ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურში და ერთიანი ეროვნული გამოცდები. პირები, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება ჩაირიცხონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, გადიან</p>	

მხოლოდ შემოქმედებით ტურს.

შემოქმედებით ტურზე აბიტურიენტი ასრულებს წერით დავალებას (არჩევით: ლიტერატურული ჩანახატი, ესეი, მოთხრობა, ნოველა) საგამოცდო კომისიის მიერ შეთავაზებულ თავისუფალ თემაზე, რომელიც ფასდება 100 ქულიანი სისტემით, მოცემულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის

შეფასების კრიტერიუმები

<p>პრობლემის დასმა, შემოქმედებითი ინტერპრეტაციის უნარი; ინდივიდუალური ხედვა; თემის გახსნა და იდეურ-მხატვრული გადაწყვეტა; ფორმულირების სიზუსტე და გასაგებად ჩამოყალიბება; სიუჟეტის გადმოცემის მხატვრული ხარისხი; აზროვნების სიღრმე და ორიგინალობა; მხატვრული მთლიანობის სისტემატიზაცია; ზოგადი ჰუმანიტარული ერუდიციის გამოვლინება (მაგალითების, სახეების, სიმბოლოების, მეტაფორების მოყვანა); გრამატიკა, სტილი, ენის გამომსახველობა; სამოქალაქო პოზიცია.</p>	<p>9-10 ქულა – სრულად არის დაცული კრიტერიუმი; 7-8 ქულა – ძირითადად არის დაცული კრიტერიუმი; 5-6 ქულა – ნაწილობრივ არის დაცული კრიტერიუმი; 3-4 ქულა – კრიტერიუმი ნაწილობრივ ნაკლოვანია; 1-2 ქულა – კრიტერიუმი ძირითადად ნაკლოვანია; 0- ქულა – არ არის დაცული კრიტერიუმი.</p>
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან: დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი „ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე: ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე; ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე. ● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ● შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ● შუალედური გამოცდების ჩატარების დრო განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად, ხოლო დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნება სასესიო პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე.</p>
<p>პროგრამის ხელმძღვანელები</p>	<p>ზურაბ ქავთარაძე ასოცირებული პროფესორი, კინო-ტელე ხელოვნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი გოგიბერიძე პირველი კატეგორიის სპეციალისტი</p>

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტი	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
სპეციალობის საერთო კურსები			79	15	10	20	9	5	5			15
Afc-2		ფოტოხელოვნება	5	5								
Hfc-6		კინო-ტელე დრამატურგია	5	5								
B5g1		რეკლამა და სარეკლამო საქმის მართვა	5	5								
Hfc-16		სამართლებრივი აქტები კულტურის სფეროში	3		3							
Afc-5-1		კინო-ტელე მხატვრობის საფუძვლები 1	2		2							
Afc-5-2	Afc-5-1	კინო-ტელე მხატვრობის საფუძვლები 2	5			5						
B5g2		ხმის რეჟისურა	5			5						
B5Hfg-1		შესავალი სახვითი ხელოვნების ისტორიაში 1	5			5						
B5g3-1		კინო-ტელე ოპერატორის ოსტატობა 1	5		5							
B5g3-2	B5g3-1	კინო-ტელე ოპერატორის ოსტატობა 2	5			5						
B5g3-3	B5g3-2	კინო-ტელე ოპერატორის ოსტატობა 3	5				5					
Hfc-7		შესავალი შემოქმედების ფსიქოლოგიაში	4				4					
Afc-8		კომპიუტერული პროგრამა Adobe After Effects	5					5				
Afc-9	Afc-8	კომპიუტერული პროგრამა 3D Studio Max	5						5			
B5g4		საბაკალავრო ნაშრომი (ტ.კ.)	15									15
სპეციალობის ძირითადი კურსები -კინორეჟისურა			86	4	16	13	18	10	10	15		
B5-1b1-1		კინორეჟისორის ოსტატობა 1	4	4								
B5-1b1-2	B5-1b1-1	კინორეჟისორის ოსტატობა 2	6		6							
B5-1b1-3	B5-1b1-2	კინორეჟისორის ოსტატობა 3	4			4						
B5-1b1-4	B5-1b1-3	კინორეჟისორის ოსტატობა 4	7				7					
B5-1b1-5	B5-1b1-4	კინორეჟისორის ოსტატობა 5	5					5				
B5-1b1-6	B5-1b1-5	კინორეჟისორის ოსტატობა 6	5						5			
B5-1b1-7	B5-1b1-6	კინორეჟისორის ოსტატობა 7	5								5	
B5-1b2-1		კინომონტაჟი 1	5		5							
B5-1b2-2	B5-1b2-1	კინომონტაჟი 2	4			4						
B5-1b2-3	B5-1b2-2	კინომონტაჟი 3	6				6					
B5-1b2-4	B5-1b2-3	კინომონტაჟი 4	5					5				
B5Hf1b-1		საზღვარგარეთის კინოს ისტორია	5		5							

B5Hf1b-2		ქართული კინოს ისტორია	5			5				
B5-1b3		მსახიობის ოსტატობა-კამერასთან მუშაობის სპეციფიკა	5				5			
B5-1p-1	B5-1b1-5	სასწავლო (სტუდიური) პრაქტიკა 1	5					5		
B5-1p-2	B5-1p-1	სასწავლო (სტუდიური) პრაქტიკა 2	5						5	
B5-1b4		პროდიუსინგი	5							5
სპეციალობის ძირითადი კურსები - ტელერეჟისურა			86	4	16	13	18	10	10	15
B5-2b1-1		ტელერეჟისორის ოსტატობა 1	4	4						
B5-2b1-2	B5-2s1-1	ტელერეჟისორის ოსტატობა 2	6		6					
B5-2b1-3	B5-2s1-2	ტელერეჟისორის ოსტატობა 3	4			4				
B5-2b1-4	B5-2s1-3	ტელერეჟისორის ოსტატობა 4	7				7			
B5-2b1-5	B5-2s1-4	ტელერეჟისორის ოსტატობა 5	5					5		
B5-2b1-6	B5-2s1-5	ტელერეჟისორის ოსტატობა 6	5						5	
B5-2b1-7	B5-2s1-6	ტელერეჟისორის ოსტატობა 7	5							5
B5-2b2-1		კომპიუტერული მონტაჟი 1	5		5					
B5-2b2-2	B5-2s2-1	კომპიუტერული მონტაჟი 2	4			4				
B5-2b2-3	B5-2s2-2	კომპიუტერული მონტაჟი 3	6				6			
B5-2b2-4	B5-2s2-3	კომპიუტერული მონტაჟი 4	5					5		
B5Hf-2b-1		კინოსა და ტელევიზიის ისტორია	5		5					
B5-2b3		ტელევიზიის წარმოების საფუძვლები	5			5				
B5Hf-2b-2		ტელეჟურნალისტიკა	5				5			
B5-2p-1	B5-2b1-5	სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა 1	5						5	
B5-2p-2	B5-2p-1	სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა 2	5							5
B9b15		მედიამენეჯმენტი	5							5
საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები			15	10	5					
ucBA1		აკადემიური წერა	3	3						
ucBA2		კომპიუტერული პროგრამები (საოფისე)	2	2						
		ინგლისური ენა	5	5						
		ინგლისური ენა	5		5					
დამატებითი სპეციალობა minor/არჩევითი ბლოკები/კურსები			60					15	15	15
სულ			240	29	31	33	27	30	30	30